ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი

24.11.2025 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვერიკო კვირკველია, ვლადიმერ ნანაძე, ტატო ურუშაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გოჩა ჯანაშია და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ია მოქია.**

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელები და ბუღალტრები:

ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლის“ დირექტორი **ზაალ სანაძე,** ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“ დირექტორი **დიმიტრი მარშანიშვილი,** შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ ჩხაიძე,** ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრის“ ბუღალტერი **კობა კუნჭულია,** ა(ა)იპ „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი **ირმა კეშელავა,** ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მარინა კეიდია და** შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი **ვალერიან წულაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2027 წლის სამუშაო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-9, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას

გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან ვრცლად ისაუბრა 2027 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 34519900 ლარით. აქედან; შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვრა შემდეგი რედაქციით: ბიუჯეტის შემოსავლები - 28,191.3 ათასი ლარით, ბიუჯეტის გადასახადები - 21,148.5 ათასი ლარით, ბიუჯეტის გრანტები - 3,647.3 ათასი ლარით, ბიუჯეტის სხვა შემოსავლები - 3,395.5 ათასი ლარით, ბიუჯეტის ხარჯები - 26,837.6 ათასი ლარით, ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 3,257.7 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 7,682.3 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 4,424.6 ათასი ლარით ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 1,904.0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო - 1,353.7 ათასი ლარით. ფინანსური აქტივების კლება 1,904.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2027 წლის განმავლობაში.

მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვრა 7,767.0 ათასი ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება - 3,520.0 ათასი ლარით, განათლების პრიორიტეტის დაფინანსება - 7,612.4 ათასი ლარით, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება - 6,501.2 ათასიო ლარით, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება - 2,291.8 ათასი ლარით. 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 200,0 ათასი ლარის ოდენობით.

2027 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21148,5 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2772,1 ათასი ლარით (15,1%-ით).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 17848,5 ათასი ლარით; 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 10.3%-ით (1672,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3300,0 ათას ლარს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 50%-ით (1100,0 ათასი ლარით) იზრდება.

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 3647,3 ათასი ლარამდე, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 3647,3 ათასი ლარი;

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 225,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტები 80,0 ათასი ლარი., რენტა 145,0 ათასი ლარი; 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 1,1% (1,5 ათასი ლარით) მცირდება. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით ვინაიდან, ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე გაცემულია ნაკლები ლიცენზია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 40 ათასი ლარი, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 35,0 ათასი ლარი, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 85 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2910,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის; შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 2908,5 ათასი ლარი; შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 2,0 ათასი ლარი; ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 100,0 ათასი

ლარის ოდენობით, მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 100,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 4424,6 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 34519,9 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 7969,9 ათასი ლარით).

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1,735 ლარის ოდენობით ნაცვლად 1 600 ლარისა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3520,0 ათასი ლარი; მათ შორის: დასუფთავება და ნარჩენების გატანა 3000,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება -500,0 ათასი ლარი. მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

განათლება - 7612,4 ათასი ლარი, მათ შორის: სკოლამდელი განათლება -7387,9 ათასი ლარი; 2026 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 1956,2 ათასი ლარით (36,0%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით; ასევე 2 ბაღის რეაბილიტაციით.

ზოგადი განათლება - 224,5 ათასი ლარი აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეების გადაყვანა 150,5 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 6058,4 ათასი ლარი მათ შორის: სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2927,9 ათასი ლარი; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. კულტურის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვრა 3095,5 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ახალგაზრდობის მხარდაჭერა განისაზღვრა 35,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2291,8 ათასი ლარი, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 374,8 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არა გადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სოციალური პროგრამები - 1917,0 ათასი ლარი;

მმართველობა - 7270,3 ათასი ლარი, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება - 1852,6 ათასი ლარი; მერია - 4636,5 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი - 200,0 ათასი ლარი; საერთო დანიშნულების ხარჯები 581,2 ათასი ლარი.

ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლის“ მომავალი წლის ბიუჯეტი დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ პრობლემას წარმოადგენს სოფ, გვიმბალაურში არსებული დარბაზი, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

დიტო მარშანიშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“ გამართული მუშაობისთვის ესაჭიროება სამსახურებრივი ავტომობილის შეძენა, რომელიც არ არის გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში.

მერაბ ჩხაიძემ მადლობა გადაუხადა მერიას და საკრებულოს გვერდით დგომისთვის და აღნიშნა, რომ მომავალი წლის დაფინანსება დამაკმაყოფილებელია და ამ ეტაპზე არ საჭიროებს რაიმე სახის ცვლილებების შეტანას. ცენტრის ბალანსზე ირიცხება ნაშთი 130000 ლარის ოდენობით და მისი 2027 წლის ბიუჯეტში გადატანის შემთხვევაში სრულად იქნება ყველა ღონისძიება დაფინანსებული. მისი თქმით შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ კომპეტენციაში შედის ტურისტული ადგილების შესწავლა, მისი პოპულარიზაცია და რეკლამირება და სასურველია მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს აღნიშნული ადგილების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. საზოგადოების ცნობადობის ასამაღლებლად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პიარის კუთხით. იმისთვის, რომ უფრო მარტივად შეიტყოს საზოგადოებამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული ღირშესანიშნაობების შესახებ შეიქმნა ვებ საიტი, რომელიც დახვეწის პროცესშია და სულ მალე სოციალური ქსელების მეშვეობით მოხდება ტურისტული ადგილების პოპულარიზაცია.

ტატო ურუშაძემ, როგორც შ.პ.ს. „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ტურისტული კუთხით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი და აუცილებელია მაქსიმალური ჩართულობა და ხელშეწყობა. მან ასევე აღნიშნა, რომ აღმოჩენილია ახალი ღირსშესანიშნავი ადგილი სოფელ ნინოშვილში, სადაც არის ულამაზესი ჩანჩქერი. მისასვლელი გზა არის მიუვალი და საჭიროებს გაწმენდას.

ირმა კეშელავამ მადლობა გადაუხადა მერიას და საკრებულოს გვერდით დგომისთვის და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ოფისში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ასევე სამსახურის გამართული მუშაობისთვის შეძენილი იქნა ავტომობილი და ცენტრი უზრუნველყოფილია ასევე ტექნიკითა და აღჭურვილობით. მან ასევე აღნიშნა, რომ სადეზინფექციო ჯგუფის თანამშრომლები, ზაფხულში სეზონურად 4 თვე მუშაობენ ზღვისპირა ტერიტორიების მალარიის საწინააღმდეგო შეწამლვებზე და ანაზღაურებაც შესაბამის აქვთ ვინაიდან ხდება მათი სახელმწიფოს მიერ დაფინანსება. დანარჩენი 8 თვე აღნიშნული ჯგუფი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მათი ანაზღაურება ძალიან დაბალია. ასევე გაურკვეველია მოხდება თუ არა ცენტრის თანამშრომლების ხელფასების 8,4%იანი მატება, რაზეც როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ არსებულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ მიმდინარეობს მსჯელობა.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სადეზინფექციო ჯგუფის საქმიანობა ძალიან შრომატევადია და აუცილებელია ანაზღაურებაც ქონდეთ შესაბამისი. მან დააყენა წინადადება და აღნიშნა, რომ გაიზარდოს

ა(ა)იპ „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სახელფასო ფონდი 10000 ლარით, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები: ალექსანდრე მახათაძე, ირაკლი ცინცაძე და გოჩა ჯანაშია.

ვალერიან წულაძემ აღნიშნა, რომ შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დაფინანსება 2027 წელს მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია, რაც დაკავშირებულია საწვავის ფასების ზრდასთან. მიმდინარე წელს შპს-ს ადგილობრივმა შემოსავალმა დაახლოებით 170000 ლარი შეადგინა. რაც შეეხება კუთვნილ ე.წ. ჯი-სი-პის, მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების გამო ვერ მოხერხდა მათი გაქირავება. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს 2 ერთეული ავტობუსის დამატება, აქედან ერთი ერთეული იქნება სათადარიგო ხოლო მეორე ავტობუსის მარშრუტი მოიცავს დამატებით სოფლებს, სადაც დღეის მდგომარეობით ვერ ხერხდება ტრანსპორტის შესვლა. მისი თქმით აუცილებელია ასევე „თვითმცლელის“ შეძენა. კომპანიის ბუღალტერმა **სალომე კვირკველიამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიც ჩაერთო საქართველოს ბანკის გათამაშებაში და ნებისმიერ მოქალაქეს, ვინც მგზავრობის საფასურს გადაიხდის საქ. ბანკის ბარათით ეძლევა შანსი 10000 ლარის მოგების.

თენგიზ ხუხუნაიშვილმა დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სამომავლოდ ავტობუსებზე რეკლამის განთავსება, რაზეც **ვალერიან წულაძემ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ არსებულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა და უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება ავტობუსებზე რეკლამების განთავსება, რაც გაზრდის შემოსავალს. ასევე ქალაქში უკვე დახაზულია საპარკინგე ადგილები და უახლოეს მომავალში დაიწყება პარკირების საფასურის გადახდა.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ პენსიონერს შეეძლება ლიბერთი ბანკის ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდა და ასევე ისარგებლებს რაიმე ტიპის შეღავათებით.

გიორგი ჩახვაძემ მადლობა გადაუხადა სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელს სწორი მენეჯმენტისთვის და ეფექტური მუშაობისთვის.

კობა კუნჭულიამ აღნიშნა, რომ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობისთვის აუცილებლობას წარმოადგენს ე.წ. ამწე კალათის შეძენა და დამატებით ესაჭიროება 150 ცალი სანაგვე ურნა.

ტატო ურუშაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრს“ წყლის სისტემის მოვლა პატრონობისთვის ესაჭიროება ე.წ ქუროების, გადასაბმელებისა და უთოს შეძენა.

თენგიზ ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ გაიზრდება ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება მინიმუმ უნდა გაორმაგდეს, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

მარინა კეიდიამ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ 17 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. აქედან, ექვსმა ბაღმა გაიარა ავტორიზაცია. სოფლების: ნიგვზიანის, აკეთის, ხაჯალიის, სუფსის და აცანის ბაღებმა გაიარეს სრული ავტორიზაცია, ქალაქის ბაღის (რომელიც გათვლილია 150 ბავშვზე) პროექტი დასრულებულია და მომავალ წელს მშენებლობისთვის გამოცხადდება ტენდერი. რაც შეეხება მომავალი წლის ბიუჯეტს, იგი ცენტრის გამართული მუშაობისთვის დამაკმაყოფილებელია.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მერიის სოციალურმა სამსახურმა შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც შეეხება ხანდაზმულ მოქალაქეებს, რომლებიც არ სარგებლობენ სოციალურად დაუცველის სტატუსით და პროგრამის ფარგლებში მოხდეს მათთვის გაზის გადასახადის სუბსიდირება.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ის წარმოადგენს პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის პროექტს, რისთვისაც საჭირო იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი თანხის მოძიება.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ 2027 წლის ბიუჯეტი საჭიროებს დამუშავებას და ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა დაუბრუნდეს მერს შემდგომი დამუშავებისთვის, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-9, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლას“ ესაჭიროება სოფ. გვიმბალაურში არსებული დარბაზის კაპიტალური შეკეთება.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ სადეზინფექციო ჯგუფის ხელფასების მოსაწესრიგებლად დამატებით ესაჭიროება 10000 (ათიათასი) ლარი.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“ გამართული მუშაობისთვის ესაჭიროება სამსახურებრივი ავტომობილის შეძენა.
4. მუნიციპალიტეტისთვის აუცილებლობას წარმოადგენს აგრარული ბაზრისა და ავტოსადგურის მოწესრიგება.
5. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება მიზანშეწონილია მინიმუმ გაორმაგდეს.
6. ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს მინიმუმ 100 (ასი) ლარით.
7. ბენეფიციარების საშეშე მერქნის შესაძენად ერთჯერადი დაფინანსების თანხა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი დაბრუნებულ იქნას მერისთვის შემდგომი დამუშავებისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2027 წლის სამუშაო გეგმის პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ**. მან სხდომას წარუდგინა სამუშაო გეგმა და ვრცლად ისაუბრა მომავალ წელს კომისიის მიერ განსახილველ გეგმიურ საკითხებზე.

წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** კენჭი უყარა წარმოდგენილ გეგმის პროექტს.

მომხრე-9, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2027 წლის სამუშაო გეგმის პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №9

ქ. ლანჩხუთი 24.11.2026 წელი

2026 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2027 წლის სამუშაო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლას“ ესაჭიროება სოფ. გვიმბალაურში არსებული დარბაზის კაპიტალური შეკეთება.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ სადეზინფექციო ჯგუფის ხელფასების მოსაწესრიგებლად დამატებით ესაჭიროება 10000 (ათიათასი) ლარი.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“ გამართული მუშაობისთვის ესაჭიროება სამსახურებრივი ავტომობილის შეძენა.
4. მუნიციპალიტეტისთვის აუცილებლობას წარმოადგენს აგრარული ბაზრისა და ავტოსადგურის მოწესრიგება.
5. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება მიზანშეწონილია მინიმუმ გაორმაგდეს.
6. ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს მინიმუმ 100 (ასი) ლარით.
7. ბენეფიციარების საშეშე მერქნის შესაძენად ერთჯერადი დაფინანსების თანხა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი დაბრუნებულ იქნას მერისთვის შემდგომი დამუშავებისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2027 წლის სამუშაო გეგმის პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.11.2026 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14⁰⁰	
2	ვერიკო კვირკველია	14·⁰⁰	
3	გიორგი ჩახვაძე	14⁰⁰	
4	სპარტაკ კვაჭაძე	13-58	
5	ტატო ურუშაძე	14⁰⁰	
6	ვლადიმერ ნანაძე	14⁰⁰	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	14·⁰⁰	
8	ირაკლი ცინცაძე	13⁵⁸	
9	გოჩა ჯანაშია	13⁵⁹	